პრობლემური ქცევის შემცირების სტრატეგიები
დაწყებითი საფეხურის მოსწავლესთან

ანა გიგაური

სოფიკო გოგუაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა გიგაური

სოფიკო გოგუაძე

23/06/2024

აბსტრაქტი

სასკოლო გარემოში მოსწავლეთა ქცევითი პრობლემები უნივერსალური გამოწვევაა, რომელსაც ყველა პედაგოგი, მიუხედავად მათი გამოცდილებისა თუ სპეციალიზაციისა, აუცილებლად აწყდება. არასასურველი ქცევების მართვა და პოზიტიური ქცევის ხელშეწყობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანას არა მხოლოდ სპეციალური განათლების პედაგოგებისა და ინდივიდუალური ასისტენტებისთვის, არამედ საგნობრივი მასწავლებლებისა და მთელი სასკოლო პერსონალისთვის.

სოციალურად მიუღებელი ქცევა მნიშვნელოვნად აფერხებს მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართულობას, აკადემიურ პროგრესს და პოზიტიური ინტერპერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. პრობლემური ქცევა, უმეტეს შემთხვევაში, ზიანის მომტანია როგორც გარშემომყოფთათვის, ასევე თავად მოსწავლისთვის, და ხელს უშლის აკადემიური თუ ფუნქციური უნარების სრულფასოვან განვითარებას.

არასასურველი ქცევების იდენტიფიკაცია და ობიექტური აღწერა მოითხოვს ხანგრძლივ, სისტემატურ დაკვირვებას სპეციალისტის მხრიდან. ეს ქცევები შეიძლება გამოვლინდეს მრავალფეროვანი ფორმით, მათ შორის ვოკალიზაციით, დესტრუქციული ქმედებებით, აგრესიით, ან ემოციური აფეთქებებით. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ქცევები არ იქნას მიჩნეული მოსწავლის პიროვნების განუყოფელ ნაწილად, განსაკუთრებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეების შემთხვევაში.

ქცევის ობიექტური, მიუკერძოებელი და არაინტერპრეტაციული აღწერა წარმოადგენს აუცილებელ წინაპირობას ქცევის ფუნქციის გასაგებად. ამ პროცესში განსაკუთრებით ეფექტურია ABC (Antecedent-Behavior-Consequence) სქემის გამოყენება, რომელიც

საშუალებას იძლევა გაანალიზდეს ქცევის წინაპირობები, თავად ქცევა და მისი შედეგები.

წინამდებარე პრაქტიკის კვლევა ფოკუსირდება სსსმ მოსწავლის მრავალფეროვანი რეპერტუარით გამოვლენილი რთული ქცევების ობიექტურ აღწერაზე, რისთვისაც გამოყენებულ იქნა ქცევაზე დაკვირვების ჩანაწერები და ABC სქემა. კვლევამ წარმოაჩინა, თუ როგორ შეუძლიათ სასკოლო საგანმანათლებლო სივრცეში ჩართულ სპეციალისტებს იმუშაონ კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე, მეცნიერულ მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომით. ეს მიდგომა მიზნად ისახავს რთული ქცევების შემცირებას, ჩანაცვლებას ან/და აღმოფხვრას, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის აკადემიურ და სოციალურ ინტეგრაციას.

საძიებო სიტყვები: სსსმ მოსწავლე, პრობლემური ქცევა, ABC სქემა, პოზიტიური ქცევის ხელშეწყობა.

Abstract

Behavioral problems of students in the school environment are a universal problem that all teachers have to face, regardless of their experience and specialization. Management of undesirable behavior and encouragement of positive behavior is an important task not only for special education teachers and individual assistants, but also for subject teachers and all school personnel.

Socially unacceptable behavior significantly hinders the student's involvement in the educational process, academic success and the formation of positive interpersonal relationships. Problem behavior in most cases is harmful to others, as well as to the student himself, and prevents the full development of academic or functional skills.

Detection and objective description of undesirable behavior requires long-term systematic observation by a specialist. Such behavior can manifest itself in different ways, including vocalization, destructive actions, aggression or emotional outbursts. It is important that such behavior is not considered an integral part of the student's personality, especially in the case of students with special educational needs.

An objective, impartial and non-interpretive description of behavior is a necessary prerequisite for understanding the causes of behavior. In this process, the use of the ABC (Antecedent-Behavior-Consequence) format is especially effective, allowing to analyze the prerequisites of the behavior, the behavior itself and its consequences.

This practical study is focused on the objective description of complex behavior demonstrated by a diverse repertoire of students with special needs, for which behavioral observation records and the ABC format were used. The research showed how specialists involved in the field of

school education can work with a concrete case and scientifically based approach. This approach is aimed at reducing, replacing and/or eliminating problematic behavior that will contribute to academic and social integration of the student.

Keywords: A student with special educational needs, problem behavior, the ABC model, positive behaviour support system.